საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბულბულისციხე

ბულბულისციხე, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. შოლის (სურამულის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 840 მ, ხაშურიდან 13 კმ, ლიხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 კმ. 123 მცხ. (2014).

სოფლის სახელწ. ახალია და წარმოდგება სოფლის განაპირას, ლიხის ქედის აღმ. კალთაზე მდგარი ციხის სახელიდან (ცნობილია აგრეთვე ქვიშხეთის ციხის სახელითაც). სოფელს ადრე ციხისძირი ერქვა, ხოლო ციხეს – ციხისძირის ციხე (ვახუშტი). სახელწოდება „ბულბულისციხის“ წარმომავლობა უცნობია, თუ არ ჩავთვლით ხალხში შემონახულ ლეგენდას, დაკავშირებულს ამ სოფელში მცხოვრები მშვენიერი ასულის ბულბულას სახელთან, რ-იც ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. ციხე მდებარეობს ქვიშხეთიდან იმერეთში მიმავალ გზაზე და მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. XVIII ს-ში აქ ქართლელ აბაშიძეთა ერთ-ერთი მთავარი რეზიდენცია იყო. ციხე გვიანდ. შუა საუკუნეებისაა. ნაშენია რიყის ქვითა და კირით. კედლების სისქე 2 მ-მდეა, კუთხეები მომრგვალებულია. ჩრდ. მხარეს კედელი ამოყვანილია დიდი სიღრმიდან და მისი სიმაღლე ზოგან 25–30 მ აღწევს. წყალი შეყვანილი იყო ცივწყაროდან და გროვდებოდა საგანგებო აუზებში. ციხე ძლიერ დაზიანებულია.

ბ-ში შემორჩენილია კიდევ ერთი ძვ. სამოსახლო კომპლექსი. იგი შედგება ფერისცვალების ერთნავიანი ეკლესიის, ოთხკუთხა კოშკისა და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთისაგან.

ლიტ.: გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე ვ., ბულბულის ციხე, «ძეგლის მეგობარი», 1975, № 38.

ვ. გოგიბერიძე

თ. ბერაძე